



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანზორ ლოლოშვილი

სახელმწიფო საწარმოების მართვისა და ეფექტიანობის
პრობლემები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ანზორ ლოლოშვილი სახელმწიფო საწარმოების მართვისა და ეფექტიანობის პრობლემები საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი საბაკალავრო ნაშრომი „სახელმწიფო საწარმოების მართვისა და ეფექტიანობის პრობლემები საქართველოში“ შეეხება სახელმწიფო საწარმოების მართვის სისტემას საქართველოში. ჩვენი მიზანი გახლდათ შეგვესწავლა კორპორაციული მმართველობის ძირითადი პრინციპები, აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა აქტუალურად მიმაჩნია. ჩატარებული კვლევის ამოცანაა ჩვენება იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვა უმეტესი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ჩატარებული კვლევის საგანია სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მმართველობის მსოფლიო გამოცდილების გაცნობა, კვლევის ობიექტია სხვადასხვა პროფილის მოქმედი და წარმატებული სახელმწიფო საწარმოები ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგად ვამტკიცებ მას, რომ ქვეყანაში მოქმედი კრიტერიუმების ვერდაკმაყოფილების შემთხვევაში, ავტომატურად უნდა დაიწყოს სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის სიახლე გახლავთ ჩვენება იმისა, რომ უნდა შემუშავდეს უნიფიცირებული რეპორტინგის სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფო საწარმო პერიოდულად წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს და ფინანსურ მაჩვენებლებს მმართველ ორგანოს. სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვა უმეტესი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოში, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, დანერგილი უნდა იყოს ისეთი კორპორაციული მმართველობის სისტემა, რომელიც სახელმწიფო საწარმოებიდან მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს.

A n n o t a t i o n

A.Loloshvili

Problems of management and effectiveness of state enterprises in Georgia

Our Bachelor's Degree "Problems of Management and Effectiveness of State Enterprises in Georgia" concerns the system of management of state enterprises in Georgia. Our goal was to study the basic principles of corporate governance, and therefore we consider the topic of research relevant to us. The objective of the survey is to show that efficient management of state enterprises is a major challenge for most countries. Introduction to the World Experience of Corporate Governance of various profiles of research and research is the object of research in the active and successful state enterprises of different countries in the Baltic States. As a result of our research we have proven that in case of failure to meet criteria in the country, the privatization or liquidation of state companies should start automatically. The research of our research is a testimony to the need to develop a unified reporting system that states that all state enterprises periodically submit their activity report and financial indicators to the management body. Effective management of state enterprises is a major challenge for most countries. In the state both at the central and local levels, the system of corporate governance should be implemented that will provide maximum economic and social benefits from state enterprises.

შინაარსი

შესავალი

თავი I

სახელმწიფო საწარმოების მართვის სისტემა საქართველოში

- 1.1. სახელმწიფო საწარმოები და მათი კლასიფიკაცია.
- 1.2. სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორების უფლებამოსილებების არაეფექტიანი განხორციელების მაგალითები და მსოფლიო გამოცდილება
- 1.3. სსიპ-ქონების ეროვნული სააგენტო.

თავი II

სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მმართველობის ქართული რეალობა და მსოფლიო გამოცდილება

- 2.1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტებისა და წილების მართვა
- 2.2. სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული ქართული პოლიტიკა
- 2.3. სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული პოლიტიკა ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

თავი III

სახელმწიფო საწარმოების განვითარების თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

- 3.3. სს „საპარტნიორო ფონდი“ - სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი.
- 3.2. შპს „მექანიზატორი“-სოფლის მეურნეობის პროფილის ყველაზე მსხვილი სახელმწიფო საწარმო საქართველოში
- 3.3. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი საბაკალავრო ნაშრომი „სახელმწიფო საწარმოების მართვისა და ეფექტიანობის პრობლემები საქართველოში“ შეეხება სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მმართველობის პრობლემურ საკითხებს. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები (შემდგომში – „სახელმწიფო საწარმოები“) განსაზღვრავენ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სტაბილურობას და შეუძლიათ ქვეყნის მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი. გარდა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობისა, რიგ სახელმწიფო საწარმოებს აქვთ არსებითი სოციალური გავლენა საზოგადოებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებამ, პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, ეკონომიკური ტრანსფორმაციაც გამოიწვია. თუ საბჭოთა საქართველოში კერძო ბიზნესი, როგორც ასეთი, არ არსებობდა და ეკონომიკური საქმიანობა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლება იყო, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, კაპიტალისტურ თუ კვაზი-კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლამ, სახელმწიფოს ეს ფუნქცია ჩამოართვა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების დამკვიდრების პირობები წარმოშვა. საბჭოთა კავშირის დაშლას შედეგად მოჰყვა საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, რაც ბევრი იმდროინდელი საწარმოსთვის კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა - მათ დაკარგეს როგორც ნედლეულის წყარო, ისე გასაღების ბაზარი. ამას დაემატა უცხოური, იმპორტირებული საქონლის მხრიდან კონკურენცია, რამაც საერთო ჯამში ბევრი საწარმოს გაჩერება და ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. საბოლოოდ, მოქმედი თუ არამოქმედი საწარმოების ბედი პრივატიზაციის პროცესმა განსაზღვრა. ბევრი მათგანი გაიყიდა აუქციონის თუ პირდაპირი მიყიდვის გზით, თუმცა სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი წლების შემდეგაც საკმაოდ მაღალი დარჩა.

სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვა უმეტესი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოში, როგორც ცენტრალურ, ისე

ადგილობრივ დონეზე, დანერგილი უნდა იყოს ისეთი კორპორაციული მმართველობის სისტემა, რომელიც სახელმწიფო საწარმოებიდან მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს. პოსტსაბჭოთა სივრცის შემადგენელ სახელმწიფოებში აღნიშნულ სექტორში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა მაღალმა საზოგადოებრივმა ინტერესმა და სახელმწიფო საწარმოთა მართვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა წარმოშვა, ამიტომაც ასეთ სახელმწიფოებში სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული ძირეული რეფორმები განხორციელდა.

სახელმწიფოს მიერ საწარმოების ფლობისა და მართვის მთავარი მიზანი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება და/ან აღნიშნული საწარმოების საქმიანობიდან შემოსავლის მიღებაა. აღნიშნული ფუნქციის წარმატებულად განხორციელების საბაზისო წერტილი საწარმოების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზია. სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილებების არაეფექტიან განხორციელებაზე, ცალკეული საწარმოს მმართველობის ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებებსა და ზოგადად სისტემის შიგნით არსებულ კონტროლის მექანიზმების სისუსტის მაღალ ალბათობაზე მიუთითებს.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

სახელმწიფო საწარმოების მართვის სისტემა საქართველოში

1.1. სახელმწიფო საწარმოები და მათი კლასიფიკაცია

„სახელმწიფო საწარმოები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისათვის. სახელმწიფოს მიერ საწარმოების დაფუძნება შესაძლებელია განხორციელდეს ა) სტრატეგიული მნიშვნელობის ძირითადი ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების მოსახლეობისათვის მიწოდების; ბ) მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების მხარდაჭერისა და გ) ბაზრის სტიმულირების მიზნით. სახელმწიფო საწარმოებს შესაძლებელია ჰქონდეთ სოციალური დატვირთვა და უზრუნველყოფდნენ შესაბამისი საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების მიწოდებას.“¹

ქვეყნის სიდიდის, ეკონომიკური მდგრადობისა და ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით, საქართველოში, მასზე მასშტაბით უფრო დიდ და განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა საკმაოდ დიდია. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში–სააგენტო) 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 344 სახელმწიფო საწარმო ფუნქციონირებს, აქედან 24 საწარმო მართვის უფლებით აქვს გადაცემული სხვადასხვა სამინისტროს თუ კერძო ინვესტორს, 10 საწარმო – სს საპარტნიორო ფონდს, ხოლო 11 საწარმო იმყოფება ლიკვიდაციის რეჟიმში. 2014-2015 წლებისათვის

¹ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

განხორციელდა კიდევ 50-მდე სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაცია [მოცემულია სქემაზე #1]


სახელმწიფო ქონების (მათ შორის სახელმწიფო საწარმოების) მართვაში/განკარგვაში შეიძლება მოვიაზროთ სარგებლობა, პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, ლიზინგის ფორმით გადაცემა, და რეგისტრაციის გაუქმება/ლიკვიდაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს სსიპ **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**“ (შემდგომში სააგენტო). სააგენტო სახელმწიფო საწარმოებში ანხორციელებს პარტნიორის უფლებამოსილებებს, აგრეთვე, იღებს გადაწყვეტილებებს საწარმოს კაპიტალში ცვლილების განხორციელებისა და კომპეტენციის ფარგლებში სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 310 საწარმო ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თავიანთი საქმიანობის სფეროებით. ყველაზე მნიშვნელოვან სექტორებად უნდა მივიჩნიოთ:

- სამედიცინო მომსახურება - 88 საწარმო;
- ტრანსპორტი, ტრანსპორტირება - 16 საწარმო;
- კომუნიკაცია - 3 საწარმო;
- წყალმომარაგება - 2 საწარმო;
- სამშენებლო სერვისები - 17 საწარმო;
- ტურიზმი - 13 საწარმო;

„2015-2016 წლების ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში ქონების ეროვნულ სააგენტოს ეკისრებოდა 7 ვალდებულება, რომელთაგან 5 სრულად შესრულდა, 1 ნაწილობრივ და 1 ვალდებულება უმეტესად. აღნიშნული სტრატეგიის 9.3.6 ღონისძიება ითვალისწინებდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი უმოქმედო და არამომგებიანი საწარმოების შემცირებას. ვალდებულების განხორციელების შედეგად ამ საწარმოთა რიცხვი შემცირდა 55-ით. მიუხედავად ამისა, არამომგებიანი საწარმოების რიცხვი კვლავ დიდია, ხოლო საწარმოს

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემა

სქემა #1



მომგებიანობასთან დაკავშირებით არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები.² როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საწარმოს წილები/აქციები მართვის უფლებით შეიძლება გადაეცეთ სხვა სუბიექტებს. დღესდღეობით, 17 საწარმო მართვის უფლებით გადაცემული აქვს სხვადასხვა სამინისტროს მათი მმართველობის სფეროსა და კომპეტენციის შესაბამისად (4 საწარმო გადაცემულია ფონდის, ხოლო 13 უშუალოდ სააგენტოს მიერ). 5 საწარმო გადაცემულია სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირებისთვის, 6 საწარმო კი სააგენტოს მიერ მართვის უფლებით გადაცემულია კერძო ინვესტორებზე.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და ფინანსურად გამართული საწარმოები საკუთრებაში გადაცემული აქვს სს საპარტნიორო ფონდს (შემდგომში – ფონდი). ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.) ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100%;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100%;
- სს თელასი - 24,5% წილი.

გარდა აღნიშნული საწარმოებისა, ფონდის საკუთრებაში არის კიდევ 5 კომპანია და ამ კომპანიების დაქვემდებარებაში მყოფი 12 კომპანია.

2012-2013 წლებში ქვეყანაში არსებული სახელმწიფო საწარმოების რიცხვი 1129–ს აღწევდა [მოცემულია სქემაზე #2]. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სააგენტომ დაიწყო არამომგებიანი, ვალაუვალი და ფიქციურად არსებული (არაფუნქციონირებადი) საწარმოების ლიკვიდაცია, გაკოტრება, შერწყმა; ზოგიერთი საწარმო მართვის უფლებით

² სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

გადაეცა კერძო სუბიექტებს, განხორციელდა მრავალი საწარმოს პრივატიზება. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მათი რაოდენობა 2013 წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად შემცირდა და 373 შეადგინა. სააგენტო დროულად და ოპერატიულად ან ხორციელებს აღნიშნულ პროცესს, რაც ქმნის წინაპირობას რომ მალევე მოხდეს წამგებიანი და სახელმწიფოსთვის არამნიშვნელოვანი საწარმოების ან/და მათი ქონების განკარგვა, ხოლო დარჩენილი საწარმოების შენარჩუნება და მათი შემდგომი ეფექტიანი გამოყენება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია 2012-2013 წლებში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის შესახებ:

მმართველი/წელი	2012	2013
სახელმწიფო (სააგენტო)	1129	373
ადგილობრივი თვითმმართველობები	103	111
აჭარა	97	63


მომდევნო ცხრილში კი წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საწარმოების ფინანსური მდგომარეობის, მათში დასაქმებულ პირთა რაოდენობებისა და გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ:

საწარმოები:	მოგება-ზარალი (მლნ ლარი)		დასაქმებულ პირთა რაოდენობა		გაცემული შრომის ანაზღ. (მლნ ლარი)	
	2012	2013	2012	2013	2012	2013
სახელმწიფო (სააგენტო)	-9.8	25.3	7,334	7,235	60.2	63.6
ადგილობრივი თვითმმართველობები	-1.7	-6.3	3,246	3,468	11.2	14.6
აჭარა	-3.6	-0.4	4,472	671	25.9	4

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი 373 საწარმოდან ფუნქციონირებდა 74, ხოლო ინფორმაციას აწვდიდა მხოლოდ 66 საწარმო. 2012 წელს კი – 64 საწარმო 1129–დან (ფუნქციონირებდა 71). აღსანიშნავია, რომ ცხრილში არ არის შეტანილი შპს მარაბდა–კარწახის რკინიგზის მონაცემები, რადგან მიმდინარეობს კომპანიის მშენებლობა და 2013 იგი იმყოფებოდა


პროვატივების რაოდენობა

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური



■ აუქციონი ■ პირობ. აუქც. ■ პირდაპ. მიყიდვა ■ 1 ლარად მიყიდვა


პროვატივებიდან მიღებული თანხები




■ აუქციონი ■ პირობ. აუქც. ■ პირდაპ. მიყიდვა

49.5 მილიონის ზარალზე. თანამედროვე ეტაპზე ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია უტარდება 153,4 კმ, ხოლო შენდება 27 კმ, რაც საერთო ჯამში 180,4 კმ-ია. ამავე ეტაპში შედის გვირაბი, სასაზღვრო-სარკინიგზო გვირაბის საერთო სიგრძე 4 470 მეტრია. მათ შორის, საქართველოს მხარეს - 2 070 მეტრი. მისი მშენებლობა საქართველოს მხრიდან 2013 წლის დეკემბერში დაიწყო და გაყვანილია 40 მეტრი, სამუშაოები მიმდინარეობს.

შემოსავალი 2012 წელს (მილიონი ლარი)



შემოსავალი 2013 წელს (მილიონი ლარი)



საქართველოს მთავრობის მიერ არ არის განსაზღვრული სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი პოლიტიკა. საქართველოში არ არის შერჩეული სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი მოდელი (ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული, ორმაგი მფლობელობა და საინვესტიციო ფონდები) და გამოიყენება რამდენიმე მოდელი ერთობლივად, რაც საწარმოთა მართვის ერთიანი სტანდარტების შემუშავებასა და

დამკვიდრებას მნიშვნელოვნად აფერხებს“.³ სახელმწიფო საწარმოებში მათი სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის საწარმოები, რომლებშიც უშუალოდ სახელმწიფო პირდაპირ ფლობს წილს. გარდა აღნიშნული ტიპის საწარმოებისა, ფუნქციონირებს საწარმოები, რომლებიც წმინდა სამართლებრივად სახელმწიფო საწარმოებად არ ითვლებიან, მაგრამ ისინი სახელმწიფო საწარმოებიდან თვისობრივად დიდად არ განსხვავდებიან, რადგან:

-ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებული საწარმოები - საწარმოში წილი შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ თვითმმართველობას ან საქართველოს შემადგენლობაში შემავალ რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ერთეულებია და მათ მიერ დაფუძნებული საწარმოები სამართლებრივად სახელმწიფო საწარმოების კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, თუმცა ისინი ემსახურებიან ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ ავტონომიური რესპუბლიკის მიზნებს, ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებია;

-სახელმწიფო საწარმოების შვილობილი კომპანიები - აღნიშნული კომპანიები არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგან მათში წილის უშუალო მესაკუთრე არის არა სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ფაქტიური კონტროლი განახორციელოს აღნიშნულ კომპანიებზე მათ მიერ დაფუძნებული სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით.

-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები საწარმოებად არ ითვლებიან, რადგანაც არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას (არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი), თუმცა მათ საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს კერძო საწარმოები, რომლებზეც სახელმწიფოს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა აქვს.

³ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

-სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სსიპ-ების მიერ დაფუძნებული კერძო საწარმოები - აღნიშნული საწარმოები, აგრეთვე არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგანაც სსიპ დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულია და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი, როგორც იურიდიული პირის, სტატუსით/სახელით.

„საქართველოში სახელმწიფო საწარმოების მართვა ხორციელდება სხვადასხვა სუბიექტების მიერ. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების ნაწილი სამართავად გადაცემული აქვს სახელმწიფო ქონების სააგენტოს; გარდა ამისა, სახელმწიფო საწარმოების გარკვეულ ნაწილს მართავს კონკრეტული სამინისტროები და იურიდიული პირები, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული საწარმოების მართვას ახორციელებს უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლება. ამასთან, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან და ეფექტიან საწარმოებს ფლობს სს საპარტნიორო ფონდი (საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, სს თელასი).“⁴

სახელმწიფო საწარმოების მართვის 2014-2015 წლების სტრატეგიის თანახმად სააგენტოს მისიაა სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ ფასეულობებად გარდაქმნა, რისთვისაც აუცილებელია საწარმოთა ქმედითი მმართველობის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც უნდა მოხდეს არამომგებიანი და არაფუნქციონირებადი საწარმოების რაოდენობის შემცირება (ლიკვიდაცია, გაკოტრება, შერწყმა (რეორგანიზაცია), მნიშვნელოვანი და მომგებიანი საწარმოების სახელმწიფოს მართვაში დარჩენა; დანარჩენების მიმართ კი უნდა განხორციელდეს რეორგანიზაციის პროცედურები, მათი პრივატიზებისა ან/და სხვა ფორმით განკარგვის მიზნით.

„საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო საწარმოთა მართვის

⁴ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

მირითად პრინციპებსა და საფუძვლებს, სახელმწიფო საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურის მინიმალურ სტანდარტებს და წარმოადგენდა რეკომენდაციებს სახელმწიფო საწარმოთა მართვის ეფექტიანი მეთოდების თაობაზე. შესაბამისად, საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო საწარმოების მართვის უნიფიცირებული პრაქტიკა და ასევე საწარმოების მიერ არ ხდება საუკეთესო მართვის პრაქტიკის ურთიერთგაზიარება.⁵


1.2. სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორების უფლებამოსილებების არაეფექტიანი განხორციელების მაგალითები და მსოფლიო გამოცდილება

სახელმწიფოს მიერ საწარმოების ფლობისა და მართვის მთავარი მიზანი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება და/ან აღნიშნული საწარმოების საქმიანობიდან შემოსავლის მიღებაა. აღნიშნული ფუნქციის წარმატებულად განხორციელების საბაზისო წერტილი საწარმოების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზია. ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობისა და პორტფელის ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიერ მის მმართველობაში შემავალი საწარმოები (სულ 310) დაყოფილია 5 კატეგორიად. [იხ. სქემა #3] სქემიდან ჩანს, რომ 310 სახელმწიფო საწარმოდან მხოლოდ 2 იმყოფება ე.წ. „კარგ“ მდგომარეობაში, 21 მათგანი მოხვდა ერთი საფეხურით ქვედა დონეში („საყურადღებო“), უმეტესი მათგანი (231 – დაახლოებით 75%) კი იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ან/და საერთოდ არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას (კატეგორია „ცუდი“ - შესაბამისად, აღნიშნული საწარმოები სააგენტოს საკმარის ინფორმაციასაც ვერ აწვდიან). რაც შეეხება სხვა სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საწარმოებს, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებს, მათი კლასიფიცირება ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობისა და პორტფელის მიხედვით არ განხორციელებულა.

⁵ იგივე

2012-2013 წლებში მოქმედი სახელმწიფო საწარმოები (1129 საწარმო)

სქემა #2



2010-2014 წლებში სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილებების არაეფექტიანი განხორციელების არაერთი მაგალითი არსებობს.

-სს „ქართული ფილმის“ 2008–2012 წლების შესაბამისობის აუდიტით დადგინდა, რომ არსებობდა ხარვეზები შესყიდვების დაგეგმვის პროცესში, რიგ შესყიდვებზე საწარმომ ვერ წარმოადგინა ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების ამსახველი ანგარიშები, ასევე შესყიდვები განხორციელებულია მონეტარული ზღვრების დარღვევებით და ერთ პირთან მოლაპარაკებებით. გარდა ამისა, სს „ქართული ფილმი“ მონაწილეობდა პროექტებში, საიდანაც უნდა მიეღო გარკვეული შემოსავალი, თუმცა დაგეგმვის და თანხების მობილიზების ხარვეზების გამო, შემოსავლის მიღება არ მომხდარა. ასევე დაფიქსირდა სახსრების დაუსაბუთებელი და არარაციონალური ხარჯვის შემთხვევები.

-შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ იყო დაცული საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ტექნიკურ რეგლამენტების მოთხოვნები, არ იყო შექმნილი ან სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა სანიტარული ნორმები; ტარიფები არ იყო დადგენილი წყლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად (მომხმარებელს ყველა შემთხვევაში ერიცხებოდა სრული გადასახადი); კომპანიის ავტომობილებს გააჩნდათ GPS სისტემა რის მიხედვითაც უნდა დასაბუთებულიყო საწვავის ხარჯი, თუმცა არ არსებობს სისტემის ჩანაწერები. დაფიქსირებულია ხარვეზები შესყიდვების დაგეგმვაში და ტენდერების ჩატარებაში.

-„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში „ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ მართვის 2008–2011 წლების შესაბამისობის აუდიტით დადგინდა, რომ ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა გადახდილი თანხები, იმის გამო, რომ მოხდა საოპერაციოდ გამოსაყენებელი მასალების ფასის ხელოვნურად გაზრდა, და ოპერაციების გასაშუალოებულ ფასში შეტანა, როდესაც ამ მასალების გამოყენება ხდებოდა მხოლოდ ჩატარებული ოპერაციების 21%-ში. ასევე, გამოვლინდა, რომ ცენტრის მიერ განხორციელებული შესყიდვების შედეგად

ხელშეკრულებები უფორმდებოდათ ცენტრის ხელმძღვანელობის უშუალო მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიებს, რომლებსაც ცენტრის ბიუჯეტიდან ჯამში გადაერიცხათ 1,135,700 ლარი.“⁶

ყოველივე ზემოაღნიშნული სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილებების არაეფექტიან განხორციელებაზე, ცალკეული საწარმოს მმართველობის ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებებსა და ზოგადად სისტემის შიგნით არსებულ კონტროლის მექანიზმების სისუსტის მაღალ ალბათობაზე მიუთითებს. არსებული რთული ვითარების გამომწვევი მიზეზების ძიება და გამოსწორების გზების იდენტიფიცირება აქტუალური და პრიორიტეტულია.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა პასუხი შეკითხვაზე-რამდენად გამართული და ეფექტიანია სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემა? ამისათვის საჭიროა შესწავლილ და შეფასებულ იქნეს სახელმწიფო საწარმოების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და ოპერაციები. საჭიროა სახელმწიფო საწარმოთა მართვის მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების შესწავლა, როგორცაა სტრატეგია, კანონები სახელმწიფო ქონების შესახებ, მეწარმეთა შესახებ და კორპორაციული მმართველობის ძირითადი პრინციპების დანერგვის მდგომარეობა; გააანალიზა პარტნიორის უფლებამოსილებების გადანაწილების მართებულობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის; საწარმოების ანგარიშვალდებულებების და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის, ასევე მათი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხი და ა.შ.


აღნიშნული საკითხების განხილვის კრიტერიუმებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, საუკეთესო პრაქტიკა, სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშები და სამეცნიერო ნაშრომები. კერძოდ, ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში წარმოდგენელი მსჯელობები, ასევე, ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს:

⁶ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მმართველობის სფეროში შესული საწარმოების კლასიფიკაცია ფინანსური მდგომარეობის მიხედვით

სქემა #3



- სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამართლებრივი რეგულირება;
- სლოვენის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სტრატეგია (პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტი);
- გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის საწარმოთა კორპორაციული მმართველობის კოდექსი;
- ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მმართველობის კოდექსი;
- ირლანდიის სახელმწიფო საწარმოთა მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგების ანგარიში;
- სახელმწიფო, როგორც პარტნიორი-უფლებამოსილებათა გადანაწილება მმართველ უწყებებს შორის;
- ფინეთის მთავრობის რეზოლუცია სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელების პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- სლოვენის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სტრატეგია;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- ირლანდიის სახელმწიფო საწარმოთა მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგების ანგარიში;
- სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მმართველობის კვლევის ანგარიში;
- სლოვენის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სტრატეგია;
- შვედეთის სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მმართველობის კოდექსი; ანგარიშის მე-3 თავში წარმოდგენილი ანალიზი, რომელიც შეეხება საწარმოთა წილების/აქციებისა და აქტივების პრივატიზებას, ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებსა და ნაშრომებს:
- მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული დოკუმენტი (სამეცნიერო ნაშრომი) პრივატიზების მეთოდებთან დაკავშირებით;

- ამერიკის საჯარო ადმინისტრირების ყოველწლიურ ფორუმზე წარმოდგენილი დოკუმენტი პრივატიზებისა და მასთან დაკავშირებული კონტრაქტების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით;
- საუდის არაბეთის სამეფოს ეკონომიკური საბჭოს ოფიციალური მოსაზრება პრივატიზების მეთოდებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით;
- ბიზნესის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში პოლიტიკის შემუშავებისათვის შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტი ირლანდიის სახელმწიფო საწარმოების როლთან და მათი საქმიანობის ეკონომიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ანგარიშის დასკვნით ნაწილში (მე-4 თავი) განხილულია სახელმწიფო საწარმოთა მოგების განაწილების საკითხი, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნება შემდეგი სტანდარტები და დოკუმენტები: მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული დოკუმენტი სახელმწიფო საწარმოთა დივიდენდების მობილიზებასთან დაკავშირებით;
- შვედეთის ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიში სახელმწიფო საწარმოების შესახებ;
- გერმანიის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი უკრაინის სახელმწიფო საწარმოების მოგების განაწილებასთან დაკავშირებით;
- კანონი სლოვენის კაპიტალური ინვესტიციების მართვის შესახებ.

1.3. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) დაარსდა 2012 წლის 17 სექტემბერს და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს და მრავალფუნქციური მიდგომების საშუალებითა და სერვისების შეთავაზებით ემსახურება საზოგადოებას. ორგანიზაციის ფუნქციაა უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი მოვლა-პატრონობა,


განკარგვა და სახელმწიფო საწარმოების მართვა. სააგენტო საქმიანობას ახორციელებს სამი ძირითადი მიმართულებით: სახელმწიფო უძრავი/მოდრავი ქონების მართვა, სახელმწიფო ქონების განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა. აღნიშნული ფუნქციების სრულყოფილად განსახორციელებლად სააგენტო მუდმივად მუშაობს არსებული პროცედურების გაუმჯობესებაზე და ზრუნავს საკუთარი სერვისების სრულყოფასა და გამარტივებაზე, ასევე - ისეთი ინოვაციური სერვისების დანერგვაზე, რაც დაინტერესებული პირებისთვის უფრო გამჭირვალეს და ხელმისაწვდომს გახდის სააგენტოს პროდუქტებს.

გასული პერიოდის განმავლობაში სააგენტო მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა. 2013 წლის ბოლოს ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე სააგენტომ შეიმუშავა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი საქმიანობის სრულყოფისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. 2014 წლის დასაწყისში სააგენტომ საკონსულტაციო კომპანიის „სინერჯი ჯგუფის“ დახმარებით შეიმუშავა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ვერტიკალურიდან ჰორიზონტალური მართვის მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს და სააგენტოს დასახული მიზნების მიღწევისა და შესაძლებლობების ეფექტური რეალიზების საშუალებას აძლევს. სააგენტოს მართვის ბერკეტები გადანაწილდა თავმჯდომარის სამ მოადგილეზე, რომლებსაც ფუნქციურად დაექვემდებარა სააგენტოს ყველა დანარჩენი სტრუქტურული ერთეული; 8 დეპარტამენტი, მათზე დაქვემდებარებული 17 სამსახური და 7 მომსახურების ცენტრი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არსებული პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მთლიანად აღიწერა სააგენტოს (დეპარტამენტები, სამსახურები) ბიზნეს-პროცესები, შემუშავდა რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

ინფორმაციის გაცვლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც საბოლოოდ, დადებითად აისახა სახელმწიფო ქონებით დაინტერესებულ პირთა მომსახურებაზე. საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის დახმარებით შეიქმნა

2012-2018 წლის საპრივატიზებო გეგმა და მისი შესრულება

■ გეგმა
■ ფაქტობრივი შემოსავალი



წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

ახალი პროგრამულ უზრუნველყოფა - CRP, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს და ამარტივებს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემას. სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფისათვის 2013 წლის მარტიდან სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი დაიწყო, ხოლო რეგიონებში სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება დაიწყო 2015 წლის მარტიდან.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტომ ასევე გარკვეული ნაბიჯები გადადგა მომხმარებლის ნდობის მოსაპოვებლად. 2014 წელს განვითარდა საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური, ამოქმედდა online chat-ის მომსახურება, საქმისწარმოების მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე განმცხადებლის ინფორმირებულობის მიზნით ამოქმედდა მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) - მომსახურება. აგრეთვე 2014 წლის მარტიდან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდის www.nasp.gov.ge-ს მეშვეობით, ყველა დაინტერესებულ პირს

საშუალება აქვს მიიღოს სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მონაცემი, მათ შორის - სააგენტოს მიერ შეთავაზებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და მიმდინარე პერიოდში საპრივატიზებოდ წარმოდგენილი ობიექტების შესახებ ინფორმაცია. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდის მიმართულებით-დაკომპლექტდა გაყიდვების სამსახური.

„სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენს იყოს ხელმისაწვდომი და მოქალაქეებს შესთავაზოს სწრაფი და ეფექტური მომსახურება ქვეყნის მასშტაბით. მომსახურების რეგიონული ცენტრების გარდა, დელეგირების საფუძველზე, სააგენტოს სერვისები ხელმისაწვდომი გახდა სსიპ - „იუსტიციის სახლის“ ფილიალებში, აღნიშნულის შედეგად დაინტერესებულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა დაზოგონ როგორც დრო, ასევე ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, სერვისების დელეგირება ემსახურება ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროგრამაში საჯარო მომსახურების გაუმჯობესების მიზანს.“⁷

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა. გასული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული მოქმედი საწარმოების რეალური მდგომარეობის შესაფასებლად და შემდგომი მონიტორინგის სისტემის დასანერგად. უწყვეტად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მინიმიზაცია, ოპტიმიზაციის კუთხით. ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში მნიშვნელოვანია საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ეფექტური მონიტორინგი. შესაბამისად სააგენტო მუდმივად ზრუნავს შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების ისეთი სისტემის განვითარებაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოიჯარეების და ინვესტორების კანონიერი ინტერესები. სააგენტოს საქმიანობის სრულყოფის მიზნით, საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების


⁷ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180


დეპარტამენტის დახმარებით, მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნაზე. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად შესაძლებელი იქნება, როგორც სხვადასხვა პროცესების გამარტივება, ასევე შრომითი რესურსის დაზოგვა. პორტალის გამოყენების კიდევ ერთ დადებით ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემა დაწეროს დაჩქარებული ელექტრონული სერვისები. 2015 წლის ბოლოს სააგენტოს წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ეფექტურ განვითარებას. 2016 წლის განმავლობაში სააგენტოს განზრახული აქვს წარმატებას მიაღწიოს 5 მიმართულებით და შესაბამისად 2016 წლისათვის განისაზღვრა ხუთი ძირითადი ამოცანა და ამ ამოცანების შესაბამისად მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვის მიმართულებით 2018 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული:


სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის

სამოქმედო გეგმა


სქემა#4

 სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება - 82 ობიექტი



 თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული უძრავი ქონება - 914 ობიექტი.






„2017 წელს ყველაზე მკირად ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 75%-იანი წილი გასხვისდა. გარიგების ღირებულებამ 24 589 000 ლარი შეადგინა. ფოთის თიზ-ის ახალი მფლობელი ჩინური

კომპანია CEFC-ია, რომელმაც ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების მიზნით, არანაკლებ 150 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება უნდა უზრუნველყოს.⁸

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი და პრივატიზირებული ქონების ღირებულება წლების მიხედვით

- სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტობრივი შემოსავალი (ლ)
- პრივატიზირებული ქონების ღირებულება (ლ)



⁸ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. 2017 წლის ანგარიში. მომზადებულია სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის მიერ.

https://drive.google.com/file/d/1W-ixYJNnt1Brz_Npn9f2o7Jh4W2TYSBZ/view გადამოწმებულია 7.05.2019



**2018 წლის განმავლობაში
გაპოტრებული სანარმოების რიცხვი:**

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	1	0
II კვარტალი	1	5
III კვარტალი	0	1
IV კვარტალი	1	0
ჯამურად	3	6

სახელმწიფო საწარმოების მინიმიზაციის მიმართულებით 2018 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო საწარმოთა სიიდან ამოიშალა 22 საწარმო, ხოლო საწარმოთა რიცხვს დაემატა 3 საწარმო. საანგარიშო პერიოდში არამომგებიან საწარმოთა რაოდენობის მინიმიზაციის მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:



**2018 წლის განმავლობაში
შერყვნილი სანარმოების რაოდენობა:**

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	6	3
II კვარტალი	0	0
III კვარტალი	0	0
IV კვარტალი	1	0
ჯამურად	7	3

თავი II

სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მმართველობის ქართული რეალობა და მსოფლიო გამოცდილება

2.1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტებისა და წილების მართვა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გონივრული მართვა და განკარგვა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას საქართველოში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში აქტიურად მუშაობს სახელმწიფოს მართვაში არსებული იმ საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციამინიმიზაციაზე, რომლებიც დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებენ, არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და იმყოფებიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. აღნიშნული გულისხმობს უმოქმედო და მძიმე ფინანსური მდგომარეობის მქონე საწარმოების შერწყმის, ლიკვიდაციის, გაკოტრებისა და წილის პრივატიზების პროცესებს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამავე კანონის მიხედვით სახელმწიფო ქონების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აქციათა პაკეტები და წილები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში (შემდგომში „საწარმოები“).“⁹

⁹ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180

2016 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტო აქციათა პაკეტებსა და წილებს ფლობს 135 საწარმოში (მათ შორის საკონტროლოს - 98 საწარმოში), ამჟამად 3 საწარმო ლიკვიდაციის ხოლო 4 საწარმო გაკოტრების რეჟიმშია, გათვალისწინებულია სახელმწიფოს კუთვნილი აქციათა პაკეტებისა და წილების პრივატიზება 13 საწარმოში.

საწარმოებში, სახელმწიფოს კუთვნილი აქციათა პაკეტებისა და წილების მართვის პროცესში გამოყენებული მეთოდები ძირითადად ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდნენ, რაც უარყოფითად მოქმედებდა მართვის შედეგებზე. სააგენტო ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში საწარმოებში შეამციროს ადმინისტრირების დონე და მეტი ყურადღება დაუთმოს მართვის ეკონომიკურ მეთოდებს.

„ საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილი აქციათა პაკეტებისა და წილების მართვის სააგენტოში აპრობირებული პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

ა) არსებული მდგომარეობის შეფასება (ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის დახასიათება, ობიექტების კლასიფიკაცია, ძირითადი დასკვნები);

ბ) მართვის მიზნებისა და ამოცანების დასმა;

გ) დასახული მიზნების მიღწევის და დასმული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზების შემუშავება;

დ) მართვის ეფექტიანობის კონტროლი.

სააგენტო მის მართვაში შემავალი საწარმოებისგან ყოველწლიურად იღებს და აანალიზებს განვლილი წლების ფინანსურ ანგარიშგებებს შესაბამის ახსნა-განმარტებებთან ერთად, შეისწავლის თვითოეულ საწარმოში შექმნილ მდგომარეობას, ახდენს მათ კლასიფიკაციას მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით (აქტივები, შემოსავლები, წლიური ფინანსური შედეგები, ეფექტიანობის მაჩვენებლები და ა.შ) აფასებს განვითარების პერსპექტივებს, განსაზღვრავს მართვის მიზნებსა და ამოცანებს.¹⁰

¹⁰ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180

სააგენტო განიხილავს და ამტკიცებს მის მართვაში შემავალი საწარმოების წლიურ ბიზნეს-გეგმებს, აკონტროლებს ამ გეგმების შესარულების მიმდინარეობას სააგენტო წლის კვარტლების მიხედვით.

„აღნიშნული პროცესების რეგლამენტირებისათვის 2015 წლის 30 ივნისს გამოიცა სააგენტოს ბრძანება N1/1-2397 „სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებებისა და ბიზნეს გეგმების პროექტების შემუშავების, წარმოდგენისა და განხილვის შესახებ“ რომლითაც დამტკიცებულია სააგენტოს მართვაში მყოფი საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგებებისა და ბიზნეს-გეგმების პროექტების წარმოდგენის, განხილვის, კორექტირებისა და დამტკიცების ვადები და პასუხისმგებელი შემსრულებლები. ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ე.წ. „მონაცემთა შეგროვების ფორმები“ რომელთა შესაბამისადაც სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტიური და საპროგნოზო ფინანსური უწყისები. აღნიშნული ფორმები შესაბამისობაშია ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. შედგენილი და სააგენტოს მართვაში მყოფი საწარმოებისათვის დაგზავნილია ფორმების მომხმარებლის სახელმძღვანელო, რომელიც მათი ფინანსური მენეჯერებისა და ბუღალტრებისათვის წარმოადგენს ზოგად ინსტრუქციას.“¹¹

„მონაცემთა შეგროვების ფორმები“-ს სწორად შევსების საქმეში მოსალოდნელი სირთულეებისა და უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, სააგენტოს მართვაში შემავალი საწარმოების ფინანსური მენეჯერებისა და ბუღალტრებისათვის სააგენტოს თანამშრომლები ყოველწლიურად ატარებენ ტრენინგებს. აუცილებლობის შემთხვევაში საწარმოთა ფინანსური სამსახურების თანამშრომელთა მიერ ფორმების შევსება მიმდინარეობს სააგენტოს თანამშრომლების რეკომენდაციების საფუძველზე, „ონლაინ“ რეჟიმში.

¹¹ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანწილად მოაწესრიგა საწარმოებში აღრიცხვა-ანგარიშგებისა და პერსპექტიული დაგეგმვის საკითხები, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ჯერ კიდევ გვხვდება გარკვეული ხარვეზები, ამასთან, როგორც ცნობილია 2016 წლის 24 ივნისს გამოიცა და რამდენიმე მუხლის, პუნქტისა და ქვეპუნქტის გამოკლებით გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად, კანონი არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საკითხებს.

„კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დროულად და სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, სააგენტომ უკვე დაიწყო მუშაობა საწარმოთა შესაბამისი სამსახურების (ბუღალტერია, ფინანსური, ეკონომიკური და იურიდიული სამსახურები) მიერ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად, იმ ვარაუდით, რომ საწარმოს 2017 დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება და სხვა დოკუმენტაცია მომზადდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნების მისაღწევად გატარებულია ქმედითი ღონისძიებები, საწარმოებს გაეგზავნათ წერილები შესაბამისი მითითებებით, გამოიცა ბრძანება (12/12/2016 – N1/1-3961), რომელიც ავალდებულებს საწარმოებს: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, 2016 წლის წინასწარი ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, განსაზღვრონ საკუთარი კატეგორია; I და II კატეგორიის საწარმოებმა უზრუნველყონ:“¹²

ა) 2016 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებათა დაზუსტება და აუდიტორული შემოწმება;

¹² სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშგავალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

ბ) 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებათა აუდიტორული შემოწმებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული დროებითი უფლებამოსილების მქონე აუდიტორული კომპანიის შერჩევა;

გ) წლიური ანგარიშების მომზადება, რომელშიც ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად ასახული იქნება ინფორმაცია 2016 წლის განმავლობაში საწარმოთა მენეჯმენტის მიერ გაწეული საქმიანობის, მიღწეული შედეგების, წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ;

დ) წლიური ანგარიშის საკუთარ ვებ-გვერდებზე ატვირთვა და „სააგენტოში“ გადმოგზავნა.

კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით 2016 წლის 21 ნოემბერს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა მონაწილეობით სააგენტოში ჩატარდა სემინარი საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ფინანსური მენეჯერებისთვის. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტო აქტიურად მონაწილეობს საწარმოების წმინდა მოგების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. სააგენტო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით პერიოდულად ამზადებს წინადადებებს, მათ მიერ მიღებული მოგების განაწილების შესახებ, რომლებიც განსახილველად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიმღებ კომისიას და საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიდინარეობის მონიტორინგს. სააგენტოს თავმჯდომარე აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა და უშუალოდ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში.

2.2. სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული ქართული პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა აგრარული სექტორი, რომლისთვისაც მანამდე უცხო იყო საბაზრო ეკონომიკის წესები. ის იმართებოდა ცენტრალიზებულად და იღებდა დიდი ოდენობით სახელმწიფო დოტაციებს. კერძო საკუთრების არარსებობამ და მეურნეობების კოლექტიურმა, სახელმწიფო დირექტივების საფუძველზე მართვამ, დააქვეითა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადამიანებში. ასეთი სისტემა არ მოითხოვდა მათგან ზედმეტ ფიქრსა და ანალიზს იმაზე, თუ როგორ შეემცირებინათ ხარჯები, როგორ გამკლავებოდნენ კონკურენციას ან სად გაეყიდათ საკუთარი პროდუქცია. შედეგად კი, სოციალისტური ეკონომიკიდან კაპიტალისტურზე გადასასვლელად მზად არ აღმოჩნდა არც ქართველი ფერმერი და არც მთლიანად დარგი, რომლის წინაშეც რადიკალურად განსხვავებული ამოცანები დადგა.

„2012 წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებში მთავრობის ცვლილების შედეგად სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად დარჩა, თუმცა წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, შეიცვალა მიდგომები სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებთან დაკავშირებით. მართალია, სახელმწიფო თავად აღარ ქმნის საწარმოებს სოფლის მეურნეობაში და მისი როლი დარგის ირიბი სტიმულირებით განისაზღვრება („მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა“, „გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ და სხვა)⁶⁵, თუმცა ის კვლავ განაგრძობს მემკვიდრეობით მიღებული კომპანიების მართვას, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წამგებიანია.“¹³

¹³სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბუნებრივად მოიტანა კერძო საკუთრების გაჩენის აუცილებლობა და დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელმა მთავრობამაც გადაწყვიტა, უარი ეთქვა სახელმწიფო საკუთრების ნაწილზე და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, მასშტაბური პრივატიზაციის პროცესი დაიწყო. განკერძოება შეეხო როგორც მიწას, ისე საწარმოებს. მთავრობის ინიციატივით, დაიგეგმა და განხორციელდა ე.წ. მიწის რეფორმა, რომლის ფარგლებში სოფლად მცხოვრებმა ყველა ოჯახმა საკუთრების სახით მცირე ნაკვეთი მიიღო. მიწის რეფორმის შედეგად, სასოფლოსამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი დაქუცმაცდა და საშუალოდ ერთი საოჯახო მეურნეობის ხელში მხოლოდ 0.88 ჰა აღმოჩნდა. გაქრა მასშტაბის ეკონომიის ეფექტი, საოჯახო მეურნეობები მსხვილ ფერმერულ მეურნეობებად ვერ გარდაიქმნა და დარგის კონკურენტუნარიანობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. მიწებთან ერთად გასხვისდა აგრარული და სასურსათო პროფილის (პირველ ეტაპზე მცირე და საშუალო, ხოლო 1997 წლიდან მსხვილი) საწარმოებიც. ოპტიმისტური მოლოდინის მიუხედავად, ბევრი მათგანის ფუნქციონირება საერთოდ შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მიზანი მათი ოპტიმიზაცია და ინვესტიციების მოზიდვა იყო, ბევრი საწარმოს მფლობელისთვის მათი აქტივების ნაწილ-ნაწილ (ზოგჯერ ჯართის სახითაც კი) გაყიდვა ფულის შოვნის უფრო სწრაფი და ნაკლებად რისკიანი გზა აღმოჩნდა.

პრივატიზაციის მეორე ტალღა 2004 წლიდან დაიწყო. ახალმა მთავრობამ სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში ლიბერალური მიდგომა აირჩია და ამ სექტორის განვითარება თითქმის მთლიანად კერძო სექტორს მიაწვდო. ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების განკერძოებაც (1) აუქციონის საშუალებით, სადაც გადამწყვეტი ფაქტორი ფასი იყო და (2) პირდაპირი მიყიდვის გზით, რომელიც ქონების საბაზრო ფასზე ნაკლები ღირებულებით, მაგრამ კონკრეტული საინვესტიციო პირობებით გაყიდვას გულისხმობდა. მთავრობამ, ასევე, უარი თქვა სუბსიდირებაზე, პროტექციონისტულ პოლიტიკაზე და დარგის მაქსიმალური დერეგულირება დაიწყო. სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკის დეკლარირებული მიზანი დარგის გაჯანსაღება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა

იყო, თუმცა შედეგები დრამატული აღმოჩნდა მასში დასაქმებული ადამიანებისთვის - შიდა ეროვნული პროდუქტის საკმაოდ მაღალი ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობის ზრდის მაჩვენებელი დაბალი და ზოგჯერ უარყოფითიც კი იყო. ასე მაგალითად, 2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 9.4 %-ით გაიზარდა, მაშინ როცა სოფლის მეურნეობა 11,7 %-ით შემცირდა.

„2008 წელს მთავრობამ მიდგომა შეცვალა და 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ სახელმწიფოს მხრიდან პირველი აქტიური ჩარევა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროგრამის სახით, რომლის ფარგლებში 15 წლიანი განვადებით 349 ტრაქტორი გადაეცათ იმ ამხანაგობებს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რომლებმაც გაიმარჯვეს სოფლის მეურნეობის სამთავრობო პროგრამაში. პროგრამა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში აღმოჩნდა წარმატებული. მოგვიანებით, ბევრმა ფერმერმა იაფი კრედიტის ფარგლებში აღებული სესხისა და ტექნიკის თანხის დაბრუნება ვერ მოახერხა, რის გამოც მთავრობამ მოგვიანებით ფერმერებს ყველა სახის დავალიანება აპატია.“¹⁴

2010 წლიდან სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეიცვალა. ცვლილების ერთ-ერთი გაცხადებული ეკონომიკური მოტივაცია ის იყო, რომ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა და ამან საქართველოში, როგორც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაში, ინფლაციის იმპორტი გამოიწვია. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაემლიერებინა საკუთარი როლი დარგის განვითარებაში და ამისთვის სხვადასხვა მეთოდი აირჩია. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ასეთი გზა ჰიბრიდული სიმინდის თესლის იმპორტი და მისი მოსახლეობაში მასობრივი გავრცელება გახდა. მთავრობამ ხელი მიჰყო ჰიბრიდული სიმინდის პროპაგანდას მოსახლეობაში, რომელიც, მართალია, ბევრისთვის სიახლე არ იყო, თუმცა წვრილ ფერმერულ მეურნეობებში ის იშვიათად გამოიყენებოდა. სახელმწიფომ უზრუნველყო როგორც სათესლე მასალის იმპორტი, ისე მისი მოსახლეობისთვის განვადებით მიწოდება, რაშიც კომერციული ბანკებიც

¹⁴ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180

ჩაერთნენ. პროექტი არ აღმოჩნდა წარმატებული ინფორმაციის სიმწირისა თუ სათესლე მასალის უზარისხობის გამო. „პროგრამა, როგორც ასეთი, არც დონორმა და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მოიწონა, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ იგი ზიანს აყენებდა ისედაც მყიფე საბითუმო მიწოდების ინვესტირებას.“ სიმინდის პროგრამა არ აღმოჩნდა იმჟამინდელი მთავრობის ერთადერთი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს ინტენსიურ ჩარევას ითვალისწინებდა. 2010 წლიდან სახელმწიფომ თავად დაიწყო ამ ბაზარზე ბიზნეს-აქტივობების წარმოება, კერძოდ, შექმნა საწარმოები, რომელთა შესახებ დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება დღესაც საქართველოს ეკონომიკის ერთერთ მთავარ გამოწვევად რჩება. დარგს, რომელშიც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ნახევარია დასაქმებული, მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ 9-10% წილი შეაქვს, ხოლო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ საწარმოთა წილი მშპ-ში დაახლოებით 4% შეადგენს. რა თქმა უნდა, რთულია მოკლე პერიოდში რადიკალური ცვლილებების მიღწევა და თვალსაჩინო შედეგების მისაღებად ბევრი წელი იქნება საჭირო, თუმცა ლეგიტიმურად ჩნდება კითხვები:

- მოქმედებდა და მოქმედებს თუ არა სახელმწიფო დარგის მდგრადი განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა?
- ისახავს თუ არა მიზნად სახელმწიფოს გადაწყვეტილებები დარგის რეალურ და სისტემურ განვითარებას თუ პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებები მხოლოდ მოკლევადიანი წინასაარჩევნო მიზნებითაა მოტივირებული?
- რა როლი უჭირავთ სახელმწიფო საწარმოებს სოფლის მეურნეობაში და რამდენად ეფექტიანად მუშაობენ ისინი?
- რამდენად არის სახელმწიფოს ფუნქცია, შექმნას და მართოს აგრარული პროფილის საწარმოები?
- როგორია საერთაშორისო გამოცდილება ამ კუთხით?

2.3. სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული პოლიტიკა ბალტიისპირეთის ქვეყნებში

სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და მათი მართვის სამომავლო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას. ისტორიული მსგავსებისა და ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით. ინფორმაციის მოძიების დროს არჩევანი ბალტიისპირეთის ქვეყნებზე გავაკეთეთ, ვინაიდან ეს სახელმწიფოები საქართველოსთვის ბევრი მიმართულებით წარმოადგენენ წარმატებული რეფორმების მაგალითს და მათ შორის სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო საწარმოების კუთხით.

„ლიტვის სოფლის მეურნეობაში დაახ. 227 000 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც მშპ-ს 6%-ს ქმნიან. სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენს 3.5 მლნ ჰა-ს, საიდანაც სახნავ-სათესია 2.95 მლნ ჰა. ექსპორტის შემადგენელი პროდუქტებია: თევზი, რძე, კარაქი, ყველი და სხვ. მისი 80% რუსეთზე მოდის, ხოლო მთავარი იმპორტიორი ევროკავშირის სხვა ქვეყნები არიან.

ლატვიას, ოფიციალური მონაცემებით, 1.86 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწები გააჩნია, საიდანაც 1.2 მლნ ჰა იხვნება. დარგში დასაქმებულთა რაოდენობა სულ დასაქმებულთა 1.3 %-ს შეადგენს, ხოლო მისი ექსპორტის დიდი ნაწილიც რუსეთში გადის ბოსტნეულის, თევზისა და რძის ნაწარმის სახით.

შედარებით მცირე მასშტაბისაა სოფლის მეურნეობის დარგი ესტონეთში, სადაც 945.000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწიდან, სახნავ-სათესია მხოლოდ 632.000 ჰა. აქ კარგად არის განვითარებული მეცხოველეობის დარგი, ხოლო სულ ამ სფეროში 3%-ზე მეტი არაა დასაქმებული. მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, ესტონეთის აგრო-პროდუქტების ექსპორტის დიდი ნაწილი კვლავაც რუსეთზე მოდის.¹⁵

¹⁵ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180

მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საპრივატიზაციო ტალღისა, „2010 წელს ლიტვა სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა 13.5 მილიარდი ლიტვური ლიტის (5.3 მილიარდი დოლარი) საბაზრო ღირებულების საწარმოებს. ეს საწარმოები არც თუ მცირე როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკაში და შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი, როგორც ლიტველი გადასახადების გადამხდელების ხარჯზე არსებული საწარმოების, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მაღალი დონე. ამ მოტივით, ლიტვამ 2010 წელს დაიწყო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა სწორედ ამ საწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ზრდას. რეფორმის ფარგლებში ლიტვის მთავრობის მიერ მოხდა სახელმწიფო საწარმოებისთვის გამჭვირვალობის ახალი სტანდარტების დამტკიცება, რომელიც მკაცრად არეგულირებდა საწარმოების ანგარიშვალდებულების ხარისხს. სტანდარტების მიხედვით, ყველა ასეთმა საწარმომ უნდა მოამზადოს და საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსოს კვარტალური და წლიური ანგარიში საქმიანობისა და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ. ამ სტანდარტების განხორციელებასა და დაცვის მონიტორინგზე კონტროლი კი დაევა ლიტვის ეკონომიკის სამინისტროს სპეციალურ ქვეგანყოფილებას.“¹⁶ ამავე განყოფილებას მისი საქმიანობის მიმართულებად, სტანდარტების დანერგვის და მონიტორინგის პარალელურად, განესაზღვრა სახელმწიფო საწარმოების რეფორმირება მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით. ლიტვის მთავრობამ 2012 წელს დამატებითი სახელმწიფო საწარმოების შექმნის შეზღუდვის მიზნით, გამოსცა ახალი დირექტივები, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა იმ აუცილებელ კრიტერიუმებს, რაც ახალი საწარმოს შექმნის შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო:

- ეფექტიანი და გამჭვირვალე სამეთვალყურეო საბჭო;
- ძლიერი მენეჯმენტი;
- მკაფიო მიზნები და ამოცანები;

¹⁶ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

„გატარებული რეფორმების და პრივატიზაციის პროცესების, ასევე მიღებული საკანონმდებლო აქტების შედეგად, დღესდღეობით ლიტვაში სოფლის მეურნეობის პროფილის მხოლოდ 19 სახელმწიფო საწარმო არსებობს. ამ საწარმოებიდან არცერთი არ არის პროდუქციის მწარმოებელი, მათი უმრავლესობა არის სტანდარტებისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თუ სურსათის უვნებლობის ხარისხის დაცვის მიზნით შექმნილი სააგენტოების ტიპის საწარმოები. მაგალითისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ერთ-ერთი საწარმოა "Pieno Tyrimai", რომელიც არის ქვეყნის მასშტაბით ავტორიზებული რძის ხარისხის კონტროლის სააგენტო. მსგავსი საწარმოების რიცხვს განეკუთვნება „ლიტვის სოფლის მეურნეობის და საკვები პროდუქტების ბაზრების რეგულაციების სააგენტო“, რომელიც 1998 წლიდან ახორციელებს ლიტვაში წარმოებული სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქციის ხარისხის მონიტორინგს. ამავე სააგენტოს, მოგვიანებით, 2001 წელს, დაემატა სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც ლიტვაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას ახორციელებს. ამ სააგენტოს როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით 2004 წლიდან გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ლიტვა ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო გახდა და შესაბამისად, მის მიერ ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის და ხარისხის მონიტორინგის აუცილებლობა დადგა. დღესდღეობით, სააგენტო პასუხისმგებელია „ევროპის სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდის“ წინაშე ლიტვაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის ხარისხის კუთხით.“¹⁷

ლატვიის მთავრობამ დასაწყისშივე მკაცრად ცალსახა მიდგომა აირჩია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა პროფილის სახელმწიფო საწარმოთა მიმართ და ეს მიდგომა მათ აუცილებელ განკერძოებას გულისხმობდა. უშუალოდ პრივატიზაციის პროცესი მართული იყო ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პრივატიზაციის კომისიის მიერ. ეს კომისია, ბუნებრივია,

¹⁷ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

მოქმედებდა სახელმწიფოს სახელით, უშუალოდ სოფლის მეურნეობის სექტორის საწარმოების აქტივების გასხვისების კუთხით. კომისია აქტიურად მუშაობდა წლების განმავლობაში და ახდენდა კონკრეტული საწარმოების აქტივებისა და ქონების შეფასებას, ხოლო შემდგომში მის პრივატიზაციას. ასევე, კომისია ადგენდა შეზღუდვებს და პირობებს კონკრეტული საწარმოს აქტივების და ქონების გასხვისების დროს. მაგალითად, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა, რაც კომისიას მომავალი მესაკუთრის მიმართ ჰქონდა, იყო ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების აქტივების და ქონების გასხვისება ფორმდებოდა პრივატიზაციის კომისიასთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც მყიდველი მის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის განხორციელების ვალდებულებას იღებდა. აღსანიშნავია, რომ ლატვიაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აქტივების გასხვისების პროცესი მიწის რეფორმის პარალელურად მიმდინარეობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ითვალისწინებდა, პირველ რიგში, მიწების გადაცემას მათი თავდაპირველი მფლობელების ან/და მათი შთამომავლებისთვის, ხოლო მიწის დანარჩენი რესურსების გასხვისება-გაყიდვას ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, გარდა უცხოელებისა. მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის პროცესების თანადროულობამ ლატვიაში ხელი შეუწყო კოოპერატივების ჩამოყალიბებას და შედეგად, მთლიანი პრივატიზაციის პროცესის შემდგომ, გასხვისებული სასოფლო-სამეურნეო მიწის, სახელმწიფო საწარმოების და მათი ქონების 60% კერძო კოოპერატივების, ხოლო 40% ამ საწარმოების ყოფილი თანამშრომლების საკუთრებაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ წარმატებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად ლატვიაში დღესდღეობით სახელმწიფო საკუთრებაში თითქმის აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან სერვისის მიმწოდებელი კომპანიები. ლატვიის მიწის რეფორმას და სოფლის მეურნეობის საწარმოების გასხვისების პროცესს საფუძვლად დაედო 1996 წელს ლატვიის „ეკონომიკის სახელმწიფო ინსტიტუტის“ დოქტორის ანდრის მიგლავსის მიერ „სოფლიოს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან“ თანამშრომლობით დაწერილი კვლევა სოფლის

მეურნეობის პოლიტიკისა და მისი ეფექტიანობის შესახებ, სახელწოდებით: „სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმოხილვა“

„დამოუკიდებლობის პირველივე წელს ესტონეთის მთავრობამ ღიად გამოაცხადა თავისუფალი ბაზრის და ფასების ლიბერალიზაციის პოლიტიკა. სისტემური ცვლილებები კი, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, 1991 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის საწარმოების და მიწების სრული განკერძოების ჩათვლით, რომელიც 1997 წელს ბოლომდე დასრულდა. პროცესის შემადგენელი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ევროპულ ოჯახში გაწევრიანების იდეა, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიბადა და თანდათანობით განვითარდა, პირველ ეტაპზე, ევროპასთან გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში. ამ შეთანხმებას მოჰყვა ესტონეთის ჩართვა „პოლონეთის და უნგრეთის დახმარება ეკონომიკის რესტრუქტურისთვის“ პროგრამაში. სწორედ ეს პროგრამა გახდა ევროპის მხრიდან პირველადი დახმარების საშუალება, რომელიც მოგვიანებით იქცა ესტონეთის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების დაჩქარების რეალურ მექანიზმად. 1995 წელს ესტონეთმა მიიღო „სოფლის მეურნეობის ბაზრის რეგულირების აქტი“. ამ აქტის მიზნად განისაზღვრა აუცილებელი სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა. იმავე წლის აგვისტოში ესტონეთის პარლამენტმა მოახდინა ევროკავშირთან დამატებითი შეთანხმების რატიფიცირება, რომლის ფარგლებშიც ესტონეთი იღებდა ვალდებულებას, უპირობოდ დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის პოლიტიკის და ყველა არსებული სტანდარტის, მათ შორის სოფლის მეურნეობის ევროპული სტანდარტები. ეს კონკრეტული შეთანხმება მოგვიანებით გადაიზარდა 1998-2003 წლების ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში.“¹⁸

დღესდღეობით, ესტონეთის მთავრობა არ ფლობს და არ მართავს არც ერთ სასოფლოსამეურნეო საწარმოს, გარდა მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა, რომლებიც მიზმულია განათლების სახელმწიფო სისტემაზე და მათი უტილიზაცია

¹⁸ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

ხდება სოფლის მეურნეობის პროფილის კვლევითი ინსტიტუტების მიერ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ესტონეთშიც დაიწყო ისტორიული მესაკუთრეებისთვის ქონების, მათ შორის, მიწის დაბრუნების პროცესი, ხოლო ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო ქონება სახელმწიფომ საყოველთაო პრივატიზაციის გზით გაასხვისა. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწიდან 60% კერძო მფლობელობაში დაუბრუნდა მათ ისტორიულ მფლობელებს ან მემკვიდრეებს, ხოლო 40%-ს ახალი მფლობელები გამოუჩნდნენ. ამ პროცესის შედეგად, პირველ ეტაპზე, მეორე მსოფლიო ომამდე არსებული 140 ათასი ფერმერული მეურნეობისგან 60 ათასი მეურნეობა შეიქმნა, ხოლო 15 წლის შემდეგ, ანუ დღევანდელი მდგომარეობით ესტონეთში გამსხვილების შედეგად, 10 ათასამდე ფერმა დარჩა, თუმცა მათ მიერ გამოყენებული მიწის რესურსი არ შემცირებულა.

თავი III

სახელმწიფო საწარმოების განვითარების თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

3.1. სს „საპარტნიორო ფონდი“ - სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი

„სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი რომელიც დაარსდა 2011 წელს. ფონდს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი "BB-", რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია. „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:¹⁹

1. აქტივების მართვა - ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2012 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი
- სს თელასი - 24.5% წილი

საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის“ საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

¹⁹ <http://fund.ge> სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“-ოფიციალური საიტი. გადამოწმებულია 13.052019

2. **საინვესტიციო საქმიანობა** - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერჯეტიკა, აგრობიზნესი, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

„დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზირებული ოპერატორები მართავენ. ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისთვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არა-კონვერტირებადი) სესხების მეშვეობით. ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.“²⁰

დავუბრუნდეთ სს „საპარტნიორო ფონდი“ აქტივებს:

- **საქართველოს რკინიგზა** აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ხაზებს (ჯამში 1,326 კმ და 114 სადგური) და მოძრავ შემადგენლობას,

²⁰ <http://fund.ge> სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“-ოფიციალური საიტი. გადამოწმებულია 13.052019


ახორციელებს სამგზავრო გადაყვანებსა და სატვირთო გადაზიდვებს. კომპანიის მოძრავი შემადგენლობა მოიცავს 139 ლოკომოტივს, 8,122 სატვირთო ვაგონს, 98 სამგზავრო ვაგონს და ა.შ.საქართველოს რკინიგზა არის უმსხვილესი დამსაქმებელი ქვეყნის მასშტაბით. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულებთა რაოდენობამ 12,000 ადამიანს გადააჭარბა. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი ამ ორგანიზაციაში არის: 100% ჯამური აქტივები: 2.8 მილიარდი ლარი;


- **საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია.** კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი აირის იმპორტი, გაყიდვა და გაზსადენების გაქირავება. კორპორაციას გააჩნია ეროვნული ნავთობის კომპანიის იურიდიული სტატუსი და წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირების კუთხით, წარმოების დაყოფის ხელშეკრულებების საშუალებით (PSA). სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი ამ ორგანიზაციაში არის: 100%, ჯამური აქტივები: 878.3 მილიონი ლარი;
- **საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა.** საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა არის დისპეჩერიზაციის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი, რომლის სერვისებით სარგებლობს 50-მდე კომპანია საქართველოში. კომპანია აწარმოებს ტექნიკურ კონტროლს მთლიან ელექტრო სისტემაზე, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ გააჩნია უფლება იყიდოს ან გაყიდოს ელექტროენერგია. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი ამ ორგანიზაციაში არის: 100% ჯამური აქტივები: 1 მილიარდი ლარი.
- **ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო).** ესკოს მთავარი ფუნქციებია:
 - საბალანსო ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა
 - გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა
 - საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება

- საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერჯისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.
სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი ამ ორგანიზაციაში არის: 100%
ჯამური აქტივები: 33.8 მილიონი ლარი;
- **თელასი.** თელასის ძირითადი საქმიანობაა თბილისში ელ. ენერჯის დისტრიბუცია კომუნალური და კომერციული მომხარებლებისთვის. თელასის 75%-ის მფლობელია INTER RAO UES, ხოლო 24.53% არის საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში. დარჩენილი 0.47% ეკუთვნის კერძო პირებს. კომპანია ირიცხება ქართულ ბირჟაზე. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი ამ ორგანიზაციაში არის: 24,5%, ჯამური აქტივები: 287.4 მილიონი ლარი.

3.2. სოფლის მეურნეობის პროფილის მსხვილი სახელმწიფო საწარმოები საქართველოში

„შპს „მექანიზატორი“, რომლის ამოცანაა ფერმერთა სასოფლოს-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, 2010 წელს დაარსდა და დღეისათვის ის სოფლის მეურნეობის პროფილის ყველაზე მსხვილი სახელმწიფო საწარმოა. სახელმწიფოს მიერ მსგავსი





საწარმოს შექმნის მოტივაცია ბაზარზე არსებული ე.წ. ჩავარდნის აღმოფხვრა იყო, რაც სასოფლო-სამეურნეო საჭირო ტექნიკის დეფიციტს უკავშირდებოდა. კომპანიის დირექტორთან ზვიად ჩხაიძესთან ჩატარებული ინტერვიუს⁷⁹ საფუძველზე ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა, აქცენტს აკეთებდა რა თანამედროვე აგროტექნიკური საშუალებების დეფიციტზე და ამავე დროს, ამტკიცებდა ასეთ ტექნიკაზე მოთხოვნის არსებობას, გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა და სახელმწიფო თავად გამხდარიყო ამ მომსახურების მიმწოდებელი. თუმცა რა კვლევას და გაანგარიშებას ეყრდნობოდა მსგავსი მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი, უცნობია და ასეთი დოკუმენტი არც არსებობს.⁸⁰

შპს "მექანიზატორის" დაფუძნებას მოჰყვა ასეულობით მილიონი ლარის სახელმწიფო ინვესტიცია და მსოფლიოში ცნობილი მწარმოებლების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - ტრაქტორების, კომბაინების და შესაბამისი იმპლემენტების შესყიდვა. მისი პარკი ამჟამად შედგება როგორც მაღალი ხარისხის ამერიკული

⁷⁹სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

წარმოების ტექნიკისგან, ისე შედარებით დაბალი ხარისხის ბელორუსული ტრაქტორებისგან.

„დღესდღეობით, შპს „მექანიზატორს“ საქართველოს რეგიონების მასშტაბით გააჩნია 12 სერვის ცენტრი, სადაც თავმოყრილია 1069 ერთეული ტრაქტორი, 81 ერთეული კომბაინი და დაახლოებით 5000 ერთეული იმპლემენტი. სხვადასხვა ტენდერის ფარგლებში საწარმოსთვის შეძენილი დაგროვილი აქტივების რაოდენობამ 300 მილიონი ლარი შეადგინა, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინების გარეშე. ბოლო ტენდერი 2013 წელს განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც „მექანიზატორმა“ 25 მილიონი ევროს ღირებულების 290 ერთეული ტრაქტორი, 1700 ერთეული მონობლოკი და 1500-მდე ერთეული იმპლემენტი შეიძინა. განსხვავებული პოზიციები ფიქსირდება კომპანიის ტარიფებთან დაკავშირებით. კერძოდ დგინდება, რომ მსხვილი ფერმერები, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ მომსახურების ხარისხსა და დროს, არ მიიჩნევენ „მექანიზატორის“ ტარიფებს ძვირად, ხოლო შედარებით წვრილი ფერმერები, რომელთა მოსავალი, ძირითადად, არა სარეალიზაციოდ, არამედ საკუთარი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, დაბალი ფასის გამო სხვებს უკვეთავენ სამუშაოების ჩატარებას და უარს ამბობენ მაღალ ხარისხზე.“²²

შპს "მექანიზატორის" საქმიანობა 2 მიმართულებით შეგვიძლია დავყოთ: 1. სახელმწიფო პროგრამების მომსახურება და 2. კერძო შეკვეთების მომსახურება. "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის" მიხედვით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ ბარათებით, საწარმოს მიერ დაიხნა 80,661 ჰა, ხოლო დაიდისკა 96,131 ჰა მიწა. სახელმწიფო პროგრამის გარდა, 2013 წელს კომპანიამ დაამუშავა 70,927 ჰა მიწის ფართი კერძო შეკვეთებიდან. წინა წლებთან შედარებით 2013 წელს კერძო შეკვეთების ნაწილში დაფიქსირდა 30%-ნი მატება. ბუნებრივია, სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა გავლენას ახდენს კერძო შეკვეთების რაოდენობის ზრდაზე ან შემცირებაზე. თუმცა, ბოლო წლებში გაზრდილი სახელმწიფო პროგრამების გამო, აქტიურ სეზონზე

²² სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180


"მექანიზატორს" არ ყოფნის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მარაგები შეკვეთების დროული მომსახურებისთვის. ამ მიმართულებით პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ თავის დროზე მოხდა სერვის-ცენტრების არასწორი დაგეგმარება. სერვის ცენტრებისთვის შეირჩა 12 ლოკაცია, სადაც ისინი გამოსაჩენ ადგილას, ცენტრალურ გზებთან ახლოს და თითქმის თანაბარი სიმძლავრეებით დაპროექტდა და აშენდა. ეს გარემოება იწვევს, ერთის მხრივ, ტექნიკის ნაკვეთებამდე მისასვლელი დიდი დისტანციების გამო გაზრდილ დანახარჯებს და მეორეს მხრივ, ტექნიკის დეფიციტს იმ რეგიონებში, სადაც მაღალია სასოფლო-სამეურნეო აქტივობა. მაშინ, როდესაც იგივე სიმძლავრეებზე გათვლილი სერვის ცენტრების აუცილებლობა, და შესაბამისად, გაწეული მაღალი დანახარჯები მცირე აქტივობიდან გამომდინარე, არ იყო საჭირო რიგ რეგიონებში, მაგალითად, რაჭაში.

„მექანიზატორი“ სახელმწიფო საწარმოთა შორის ერთ-ერთი მსხვილია თავისი აქტივების სიდიდიდან გამომდინარე. მისი ოპერირების მასშტაბიც თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდება ოკუპირებული რეგიონების გამოკლებით. 2013 წლის სუფთა მოგების განაკვეთის მიხედვით, მექანიზატორი საბოლოო წლიურ ბუღალტრულ ბალანსში წამგებიანი კომპანიაა. იკვეთება, რომ კომპანია თავის სერვისებს თვითღირებულებასთან შედარებით საშუალოდ 28%-ით ძვირად ყიდის, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟა 10%-ია. სუფთა მოგების უარყოფითი ბალანსის ძირითადი მიზეზი კი დარიცხული ცვეთის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ვინაიდან შემენილი ტექნიკის საექსპლუატაციო ცვეთის ვადა ჯერ არ გასულა. მხოლოდ ცვეთის ხარჯი მთლიან გრძელვადიან აქტივებთან შეფარდებით 3%-ს, ხოლო რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებთან ცვეთის ხარჯის შეფარდება 26%-ს შეადგენს. ამ მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლოა იმის თქმა, რომ საწარმო ეკონომიკურად და საოპერაციო კუთხით მომგებიანია მიმდინარე პერიოდში, თუმცა ეს მოგება მცირეა. „მექანიზატორში“ მუდმივად დასაქმებულია 411 ადამიანი, ხოლო კომპანიის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება.²³

²³ სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180

საინტერესოა, ასევე, ამ საწარმოს შემოსავლების სტრუქტურა, რომელიც, 2 ნაწილად უნდა გამოვყოთ: კერძო შეკვეთები - მთლიანი შემოსავლების 41% და სახელმწიფო პროგრამების მომსახურება - მთლიანი შემოსავლების 51%. საყურადღებოა, რომ დანახარჯების სტრუქტურის ყველაზე დიდ კომპონენტს მთლიანი სახელფასო და თანამშრომლების სარგებლის ხარჯები შეადგენს, რაც მთლიანი საოპერაციო ხარჯების 50%, ხოლო მთლიანი შემოსავლების 22%-ია. დანახარჯების და რეალიზებული პროდუქციის (ამ შემთხვევაში სერვისის) თვითღირებულების ყველაზე დიდ კომპონენტს საწვავის ხარჯი შეადგენს 61%. საინტერესო იქნებოდა ფინანსური მაჩვენებლების შესწავლა კონკრეტული სერვისის ცენტრების მიხედვით, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გვაქვს. ეფექტიანობის კუთხით, ამ საწარმოს რამდენიმე პრობლემა გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა თავის დროზე სერვის-ცენტრების არასწორი დაგეგმარებაა, რაც რეალური საოპერაციო საჭიროებების შესწავლის გარეშე განხორციელდა. ამის გამო, „მექანიზატორს“ დღეს გააჩნია საოპერაციო დანახარჯები, რომელიც უკავშირდება სასოფლო-სამურნეო ტექნიკის დისლოკაციის ადგილსა და ნაკვეთებს შორის არსებულ დიდ მანძილებს. დიდი მანძილების გამო, ტექნიკა ბევრ დროს ხარჯავს ერთი ნაკვეთიდან მეორეში გადაადგილებაში. თუმცა უცნობია ამის საპასუხოდ რამდენად ახდენს კომპანიის მენეჯმენტი საწვავის ოპტიმიზაციის ტენიკური საშუალებების გამოყენებას საწვავზე გაწეული კოლოსალური ხარჯების დაზოგვის მიზნით.

კიდევ ერთი პრობლემა სერვისებზე ფასების გაანგარიშების მეთოდია. არ არსებობს მექანიზატორის ფასწარმოქმნის ფორმულა თუ მეთოდოლოგია, ანუ ტარიფები მხოლოდ სოციალურადაა ორიენტირებული. არ ხდება ცალკეული სერვისის თვითღირებულების დათვლა და ამ მონაცემზე დაყრდნობით ამ სერვისის ფასის დაწესება. ფასები ასევე არ იცვლება რეგიონულ ჭრილში, სადაც განსხვავებულია, როგორც მოთხოვნისა და ტექნიკის დატვირთვის მასშტაბები, ისე მისი ხარჯები. ფაქტობრივად, მომგებიანი სერვის-ცენტრები სუბსიდირებას უკეთებენ არამომგებიან ცენტრებს. აქედან გამომდინარე, საერთოდ ეჭვქვეშ დგება კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციის პოლიტიკაც.



ზოგადად თუ გადავხედავთ სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებს დავინახავთ ძალზე სავალალო მდგომარეობას:

კომპანია	გეგმა	შესრულება
მექანიზატორი		
შემოსავალი	12 709 550	7 624 893,59
გასავალი	16 844 550	21 743 424,60
საღდო	- 4 135 000 (ზარალი)	- 14 118 531,01 (ზარალი)
აკურა		
შემოსავალი	4 015 268	5 013 810
გასავალი	6 949 323	8 302 160
საღდო	- 2 934 055 (ზარალი)	- 3 288 349 (ზარალი)
მიწის რეაბილიტაციის სააგენტო		
შემოსავალი	1 959 543	759 501,03
გასავალი	1 813 614	1 168 319,04
საღდო	145 929 (მოგება)	- 408 818,01(ზარალი)
სოფლის მეურნეობის კორპორაცია		
შემოსავალი	6 384 328	2 579 547
გასავალი	11 219 666	3 552 585
საღდო	- 4 835 338 (ზარალი)	- 973 038 (ზარალი)
საქართველოს სათბურების კომპანია		
შემოსავალი	2 144 000	506 653
გასავალი	2 295 987	1 808 347
საღდო	- 151 987 (ზარალი)	- 1 301 694 (ზარალი)

„შექმნის სხვადასხვა ისტორია აქვთ შპს „გორის სასათბურე მეურნეობასა“ და შპს „საქართველოს სათბურების კომპანიას“, თუმცა, პროფილი თითქმის ერთი და იგივეა - ბოსტნეულისა და ჩითილების წარმოება. განსაკუთრებით საინტერესოა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ წარსული, რომელიც 2012 წლის 26 აპრილს დარეგისტრირდა,



სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახა ლეგაშვილის ბრძანების საფუძველზე. შპს-ს 100% წილის მფლობელად განისაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. 2012 წლის 25 ივლისიდან შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ 100% წილი 3.300.000 ლარად შეისყიდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა²⁴, ხოლო მოგვიანებით მანვე კომპანიის საწესდებო კაპიტალში დამატებით შეიტანა 4 მლნ ლარზე მეტი. საერთო ჯამში კომპანიაში სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა თანხამ დაახლოებით 8 მლნ ლარი შეადგინა. ამჟამად, მასში სეზონზე 80-მდე ადამიანია დასაქმებული.“²⁴

„საქართველოს სათბურების კომპანია“ 2011 წელს დაფიქნდა „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ მიერ და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 12 მილიონ ლარს. პროექტის მიზანი გახლდათ იმ მასშტაბების სასათბურე მეურნეობის მოწყობა, რომელიც რაიონულ ჭრილში ბოსტნეულის იმპორტს ჩაანაცვლებდა ადგილობრივი წარმოებით. 0,85 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მოეწყო სათბური. პროექტს სოციალური დატვირთვაც მიეცა და თანამშრომლებად აიყვანეს დევნილი მოსახლეობა.

²⁴ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

ამავე კომპანიას ეკუთვნის 2 საჩითილე მეურნეობა დასავლეთ საქართველოში საერთო ფართობით 1 ჰა. საწის ეტაპზე ყველაფერი გეგმურად წარიმართა, მაგრამ ვერცერთი სასათბურე მეურნეობა ვერ გავიდა დაგეგმილ ფინანსურ მაჩვენებლებზე. წარმოების პროცესს მნიშვნელოვნად უშლის ხელსის, რომ ორივე მათგანი დამოკიდებულია სახელმწიფო სახსრებზე, რომელიც ხშირად სხვადასხვა მიზეზით იგვიანებს. ეკონომიკის ექსპერტები ყველაზე მთავარი პრობლემად, რომელიც ორივე კომპანიას გააჩნია, მათი სათბურების არახელსაყრელი მდებარეობას ასახელებს, რომელსაც ახასიათებს. მკაცრი კლიმატი, მზის სხივების არასაკმარისი რაოდენობა, წყლის ხარისხი და სხვა ფაქტორები, სავარაუდოდ, არ იქნა გათვალისწინებული მათი დაგეგმვის პროცესში, რაც სავალალო აღმოჩნდა სათბურების რენტაბელობისთვის. ამიტომ ამ პროექტებს უფრო პოლიტიკურ დატვირთვას აძლევენ, ვიდრე ეკონომიკურს.

„2011 წელს, „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ მიერ შეიქმნა შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“, რომლის საქმიანობად განისაზღვრა მარცვლეულის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება, ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა. საბოლოოდ, არცერთი შესანახი ცენტრი არ დაიტვირთა იმ მასშტაბით, რაც დასაწყისში იყო ნავარაუდები და კომპანიებმა ზარალით დაასრულეს როგორც 2012, ისე 2013 წელი. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც ზოგადად სახელმწიფო საწარმოსთვის არის დამახასიათებელი: ფერმერებისთვის გაუგებარია შესანახი ცენტრების სატარიფო პოლიტიკა და მათში არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ფასები არა საბაზრო, არამედ სოციალური, საბაზროზე გაცილებით ნაკლები, იქნება.“²⁵

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით დააფუძნდა შპს „მიწის რეაბილიტაციის სააგენტო“, „რომლის ფუნქციად გავლურებული ნარგავებით დაფარული მიწის ნაკვეთების რეაბილიტაცია განისაზღვრა. კომპანია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში სპეციალური ტექნიკის

²⁵ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

საშუალებით ძველი პლანტაციების გაწმენდით არის დაკავებული. ამჟამად სააგენტოს საკუთრებაში გააჩნია 636 ჰა მიწის ფართობი, საიდანაც სრულად რეაბილიტირებულია 225 ჰა. გარდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა, სააგენტო მიწის ნაკვეთების რეაბილიტაციისა და სხვა სახის მომსახურებებს უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.⁹¹ იკვეთება გარემოება, რომ კომპანია თავის დროზე სპეციალურად გავლურებული ნარგავებისგან მიწების გასუფთავებისთვის შეიქმნა, რომელსაც სპეციალური ტექნიკა ესაჭიროება. თუმცა გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო ამისთვის ცალკე ეკონომიკური სუბიექტის შექმნა, როცა მისი ფუნქციები თავისუფლად შეეძლო შპს „მექანიზატორსაც“ შეეთავსებინა.“²⁶

3.3. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს მთავრობის ინიციატივით განხორციელება დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამამ „აწარმოე საქართველოში,“ რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით. პროგრამის დაწყებიდან პირველსავე წელს 5 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდა, განხორციელდა 90 სამრეწველო პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 250 მილიონ ლარს აღემატება, კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორისთვის გაიცა 122 მილიონი ლარის ოდენობის სესხი.

²⁶ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.

https://idfi.ge/public/upload/Meri/Blogposts/IDFI_GYLA_policy_paper.pdf გადამოწმებულია 7.05.2019

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ მიერ განხორციელებული უახლესი პროექტები:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში „GOLDEN GRAINS“ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღდგომიანთკარში მდებარე 3877.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა გადასცა, სადაც შპს „GOLDEN GRAINS“ ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების მწარმოებელ საწარმოს შექმნის. კომპანია აღნიშნული მიმართულებით 174 980 ლარის ინვესტიციას განახორციელებს, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე გაზრდის ქართული პროდუქციის წარმოების რაოდენობას და დადებითად აისახება ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე. კომპანია წლიურად არანაკლებ 5000 ტონა ცხოველების საკვების წარმოებას გეგმავს.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ შპს „როსტო-2016“-სა და შპს „გეო-ფლაურს“-ს 25 წლის ვადით იჯარით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადასცა, სადაც ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები აშენდება. ახალი საწარმოები ხელს შეუწყობენ ქართული ჩაის წარმოების ზრდას და გააუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს. შესაბამისად, ქართულ ბაზარზე უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოვა, რომელზედაც უდიდესი მოთხოვნაა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას, საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შპს „ბიო ფ.ჯ.“-ს ქალაქ ახალციხეში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ 16 625.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა, სადაც უახლოეს მომავალში სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნება. საწარმოში პროდუქცია ადგილობრივი ფერმერებისაგან შექმნილი ნედლეულისგან დამზადდება და სამი სახეობის პროდუქციას გამოუშვებს, კერძოდ, ვაშლის კონცენტრატს, ხილის უმაქრო წვეწვებს და ხილის სიროფს. კომპანია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე 532 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს და 29 ადამიანს დაასაქმებს. საწარმო 2 წლის განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყოფს მინიმუმ 1 600 ტონა პროდუქციის გადამამუშავებასა და რეალიზაციას.
4. შპს „სითი ლოფტს“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ პირდაპირი მიყიდვით 750 000 ლარად გადასცა ქ. საგარეჯოში მდებარე 3 ერთეული სასოფლო დანიშნულების და სოფელ სათაფლეში მდებარე 127 626 კვ.მ. არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც 30 ნომრიან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასტუმრო „Rooms“-ს ააშენებს. სასტუმრო კომპლექსი მჭიდრო კავშირში იქნება აგროტურიზმის თემატიკასთან. სასტუმროს ტექტიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რომელიც კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე იქნება მოყვანილი. ასევე, კაკლისა და ნუშის მრავალწლიანი ნარგავები, ხელოვნური ტბორი და საოჯახო ტიპის გასართობ-დასასვენებელი კომპლექსი. სასტუმროს მშენებლობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად კომპანია 7 000 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. სასტუმროს ფუნქციონირების დაწყებიდან 1 თვეში 30 ადამიანი დასაქმდება.

5. ახალი საწარმოს ასაშენებლად შპს „ტიფლის ტექსტილს“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ქალაქ თბილისში კაიროს ქუჩა N81-ის მიმდებარედ 9 492 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 1 ლარად გადასცა, სადაც შპს „ტიფლის ტექსტილი“ თბილისში, კაიროს ქუჩის N81-ის მიმდებარედ საფეიქრო საწარმოს შექმნის. კომპანია აღნიშნული მიმართულებით 3 872 268 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. ახალ საფეიქრო საწარმოში პირველ ეტაპზე 24 ადამიანი დასაქმდება და სამომავლოდ წარმოების გაფართოვებასთან ერთად მათი რაოდენობაც გაიზრდება.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 2017 წელსაც გრძელდება. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, თუ აქამდე პროგრამის ფარგლებში სესხების გაცემა ხდებოდა აშშ დოლარში, ევროსა და ლარში, 2017 წლიდან სესხების გაცემა მოხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. სახელმწიფოს მხრიდან სესხის პროცენტის თანადაფინანსება არ იცვლება, რჩება იგივე და განსაზღვრულია წლიური 10%-ის ოდენობით. სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმეების უფრო მეტი ხელშეწყობის მიზნით ცვლილება შედის კრედიტის უზრუნველყოფის ნაწილში - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს უზრუნველყოფაში მონაწილეობის ზედა ზღვარი იზრდება და ნაცვლად 600 000 აშშ დოლარისა, განისაზღვრება 2 500 000 ლარამდე.

დასკვნა

სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვა უმეტესი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოში, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, დანერგილი უნდა იყოს ისეთი კორპორაციული მმართველობის სისტემა, რომელიც სახელმწიფო საწარმოებიდან მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

- იმისთვის, რომ პროცესი არ იყოს უკონტროლო, სახელმწიფო საწარმოების შექმნა უნდა მოექცეს მკაცრ რეგულატორულ ჩარჩოებში, ისე, როგორც ეს ხდება უამრავ ქვეყანაში;
- უნდა განისაზღვროს მათი დაფუძნების კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ასევე მოხდება უკვე არსებული სახელმწიფო კომპანიების შეფასება;
- კრიტერიუმების ვერდაკმაყოფილების შემთხვევაში, ავტომატურად უნდა დაიწყოს მოქმედი სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესი და ის არ უნდა იყოს მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული;
- უნდა შეიქმნას სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას პოტენციური ინვესტორებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- იმ საწარმოებზე, რომლებშიც შენარჩუნდება სახელმწიფოს წილი, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კონტროლი;
- უნდა შემუშავდეს უნიფიცირებული რეპორტირების სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფო საწარმო პერიოდულად წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს და ფინანსურ მაჩვენებლებს მმართველ ორგანოს. აღნიშნული ინფორმაცია პროაქტიურ რეჟიმში უნდა გამოქვეყნდეს და გახდეს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის. განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა (როდესაც საქმე, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოს ეხება), სახელმწიფო საწარმოები გამჭვირვალობის უზრუნველყოფის

ვალდებულების კუთხით უნდა გაუთანაბრდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რათა შესაძლებელი იყოს მათზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება;

- ცალკე რეგულირებას მოითხოვს სახელმწიფო საწარმოებში მენეჯმენტის ანაზღაურების პროცესი, რისთვისაც ერთიანი ინსტრუქცია უნდა შემუშავდეს. ის უნდა ითვალისწინებდეს როგორც საქართველოს შრომით ბაზარზე არსებულ სიტუაციას, ასევე მენეჯმენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების საწარმოსათვის წინასწარ დასახულ მიზნებთან შესაბამისობას. უნდა გაჩნდეს სახელმწიფო საწარმოთა მენეჯმენტის კონკურსის წესით დანიშვნის ვალდებულებაც.
- სახელმწიფო საწარმოების ეფექტური მართვისა და ფუნქციონისათვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა დაფუძნების სფეროებსა და კრიტერიუმებს; დაადგენს საწარმოთა მართვისა და ეფექტიანობის სტანდარტებს; უზრუნველყოფს საწარმოებში გამართული ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემის
- საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული საწარმოების ეფექტურ მართვასა და ფუნქციონას. საქართველოში არსებული სახელმწიფო საწარმოების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს როგორც საკანონმდებლო რეგულირებას, ისე პრაქტიკაში არსებული პრობლემების მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმწიფო საწარმოები საქართველოში. არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები. ილიას სახ. უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 180
2. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ნინო ხუციშვილი, საბა ბუაძე. სექტემბერი. 2016.
3. სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში. თეა ლაზარაშვილი. სამეცნიერო შრომების კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. N[ტ.]IV. - გვ.137-146. თბილისი, 2011.
4. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი. სოლომონ პავლიაშვილი. ეკონომიკა და ბიზნესი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ-ფო უნ-ტი. ივლისი-აგვისტო. N4. გვ.129-136. თბილისი, 2010.
5. სახელმწიფო საწარმო როგორც მეწარმეობრივი საქმიანობის ფორმა. "მეტეხი" : ინტერდისციპლინარული სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისის საერო უნივერსიტეტი "მეტეხი". თბ., 2009. ტ.II. - გვ.26-29. თბ., 2009
6. საქართველოს კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
8. საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ“;
9. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
10. საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილება "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში

გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”;

12. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილება ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ”;

13. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილება ”სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ”;

14. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილება „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“;

15. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანება ”სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”;

16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანება ”სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”;

17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 7 სექტემბრის №1-1/1487 ბრძანება ”სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”;

18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანება ”სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით

არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”;

19. სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;

20. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”;

21. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N153 დადგენილება "სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ რიგ ქონებაზე პრივატიზების პროცესის დასრულებასთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ”;

22. საქართველოს მთავრობის დადგენილება 2016 წლის 11 ივლისის N318 დადგენილება "ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ”;

დანართი:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით, 01.01.2016-ის მდგომარეობით.

N	საწარმოს დასახელება	სამართლებრივი ფორმა	საიდენტიფიკაციო კოდი
I კატეგორია			
1	საქაერონავიგაცია	შპს	208144051
2	საქართველოს ტელერადიონცენტრი	შპს	203829250
3	საქართველოს ფოსტა	შპს	203836233
4	მარაბდა-კარწახის რკინიგზა	შპს	204522436
5	საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	შპს	404389693
II კატეგორია			
6	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	სს	202172139
7	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	შპს	404945164
8	კახეთის ენერგოდისტრიბუცია	სს	
9	საქართველოს ლატარიის კომპანია	შპს	204568208
10	მთის კურორტების განვითარების კომპანია	შპს	215096367
III კატეგორია			
11	რაკია - საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	შპს	215147990
12	სახელმწიფო მომსახურების ბიურო	შპს	404389372
13	საზღვაო ტექსერვისი	შპს	245431206

14	აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო	შპს	222717246
15	ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	შპს	209446900
16	თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი "თბილისი-SPA" ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	შპს	204380035
17	კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	შპს	206051449
18	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	სს	212153756
19	კურორტი ახტალა	სს	227720883
20	დემეტრე 96	შპს	205221614
21	საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანია	შპს	206339924
22	ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი	შპს	206107540
23	ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი	შპს	212672080
24	თბილავიამშენი	შპს	206125496
	IV კატეგორია		
25	საქწიგნი	შპს	202888269
26	N1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა	შპს	204379074
27	თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	შპს	231171157
28	ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სს	202887126
29	ნევრონი	შპს	233642662
30	სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	შპს	239866579
31	ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო	შპს	243858544
32	ქურთის საავადმყოფო	შპს	217881175
33	შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	შპს	227721383












34	გეჯეთის თევზი	შპს	239885861
35	ქუთაისის მოზრდილთა N5 პოლიკლინიკა	შპს	212686477
36	სამედიცინო ამბულატორია ფონიჭალა	შპს	206344062
37	რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	შპს	216296880
38	ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის გადასხმის სადგური	შპს	216296318
39	მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგიის პათოლოგანატომიური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	შპს	202065807
40	ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი	შპს	212677566
41	ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	შპს	212693762
42	ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი	შპს	212693780
43	ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო	შპს	243123455
44	თელავის სამხარეო-ნარკოლოგიური ცენტრი	შპს	231171148
45	ქუთაისის N2 ქალთა კონსულტაცია	შპს	212674765
46	დეზინფექციის დეზინსექციის დერატიზაციის და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდემიზემდამხედველობის სამსახური	შპს	211327410
47	საქტრანსგაზმრეწვი	სს	204892189
48	საქნავთობპროდუქტი	შპს	201990701
49	მშენტექნიკოსი	შპს	211328589
50	ქართული ბაზარი	შპს	203822827
51	გეო-ტეკი	შპს	204396563
52	სპეც-კაპ სერვისი	შპს	205017621
53	საქგეოსერვისი	შპს	206222942
54	ახალგორის საგზაო სამმართველო	შპს	223234391
55	თეკო	სს	226574098
56	დევები	შპს	236061364

57	ავიაკომპანია აზავია	შპს	249250313
58	ცაგერის 16 ს.ს სამმართველო	შპს	242572195
59	იუნიორმშენი	შპს	236041341
60	კვერი	შპს	242262056
61	ვარდისუბანი	შპს	215083610
62	რეაბილიტაცია	შპს	206096419
63	ქალაქ ბოლნისის აგრობაზარი	შპს	225393197
64	ნინოწმინდის უბონი	შპს	236686528
65	გზაარამადნეული	შპს	209442110
66	შანს ოილი	Sps	212705045
67	ლოგოსი	შპს	204983143
68	საკვების წარმოების კომპანია	შპს	404928174
69	თეთნულდი დეველოპმენტი	შპს	236049904
70	მომავალი	შპს	238750106
71	კურორტ წყალტუბოს განვითარების კომპანია	შპს	243572594
72	საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაცია	შპს	204878891
73	სამედიცინო რეაბილიტაციის ამბულატორიული ცენტრი	შპს	211331389
74	სტომადენტი	შპს	219619679
75	ზუგდიდის ფარმაცია	შპს	219984596
76	ახალგორის რაიონული პოლიკლინიკა	შპს	223234426
77	ახალგორის რაიონული საავადმყოფო	შპს	223234435
78	ახალგორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03"	შპს	223237192
79	საფეხბურთო კლუბი ბორჯომი	შპს	226148763
80	მანგლისის საავადმყოფო პოლიკლინიკა	შპს	230805117
81	სამტრედია 2002	სს	238725947
82	კურორტი მენჯი	სს	239860021
83	სენაკის რაიონული საავადმყოფო	სს	239866588
84	ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინაღმდეგო ცენტრი	შპს	212153747
85	ზაზა ფანასკერტელი	სს	240886145

86	ქუთაისის პრესის სახლი	შპს	212677673
87	რეგიონული ჰოსპიტალი	შპს	404381165
88	ბოლნისი - 2000	შპს	225377641
89	ქართული კინოს განვითარების ცენტრი	შპს	400051199
90	თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი	შპს	204869044
91	ქ. თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფო	შპს	202887279
92	სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელო	შპს	219994139
93	აგროინვესტი	სს	201947572
94	ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია	შპს	220341324
95	ანაკლია 2016	შპს	405158804
96	ნაკადული	Sps	243861273
97	საქართველოს მარკა	Sps	202906962
98	წნორის მანქანათმშენებელი ქარხანა -2003	Sps	240388228

ქვეყნის კომპანიები

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული საწარმოების სია *

	სამედიცინო მომსახურება	60
	სოფლის მეურნეობა	18
	მშენებლობა/ინფრასტრუქტურა	14
	სატრანსპორტო მომსახურება	12
	მრეწველობა	12
	სხვადასხვა სახის კვლევები	6
	კომუნალური მომსახურება	6
	ენერჯეტიკა	5
	საკომუნიკაციო მომსახურება	4
	სხვა/შეუძლებელია საქმიანობის იდენტიფიცირება	41
	ჯამი	178

*2016 წლის 10 მარტის მდგომარეობით

უპარტაზო მართვა

სახელმწიფო საწარმოების კლასიფიკაცია ფინანსური მდგომარეობის მიხედვით

